

ბნაალოლი



წელიწადი 80-XIII.

№ 2.

თავისი, 1917 წ.

243 F-5-818



სახალწლო სიზმარი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I—საახაწლო სიზმარი,—სურათი	1
II—მეკვლე,—ლეჟი ზ. გოგიბედაშვილისა	3
III—პატარა მწყემსების ნატვრა,—ნ. კეხოველისა	7
IV—ზამთარი ტიროდა,—ლეჟი დ. ელიოზიშვილისა	3
V—კურდღელი,—მეგრული არაკი	3
VI—სამხეტეში,—თუთიყუშის ნაამბობი,—თარგმანი ალ. შითაი- შვილისა	26
VII გასართობი:—ამოცანა	24



მეკვლე

ძიავ, გისურვებთ უოველ ქაძს
დაესწროთ მუდამ ძთელადა,
ზური და ღვინო კაკიუვეთ
წლის ბოლოს ძველის-ძველადა;

ღმერთსა ვსთხოვ—ძველსა ახალი
დაემჯობინოს ბევრადა,
საღში დაბრუნდენ მშვიდობით,
ვინც^{მე}არის ბრძოლის ველადა.



მ. გოგიბედაშვილი





პატარა შუქვების ნატვრა



შეუკვე კარგა ძაღლა წამოსულიყო, როდესაც ლეოს დედამ საქათმეს წახუარა და შეესმა ბატების სმა-გაბბული უიენი.

— ერთი იმ სმაგლებს უუურეთ, ბატები ისევ სასლში ჰეავთ. საცაა შუადღე მოვა, და ვინ იცის ისინი სად არიან.

გადააქან-გადმოაქანია სალომემ თავი და აქეთ-იქით მიიხედა: საიდანმე ხომ არ მოდიან ჩემი ცელქებიო, და რაკი ვერავის მოჰკრა თვალი, შუბლზე სელი მიიდო და ვენახისკენ გასძახა:

— შვილო, ლეო, ლეო, კიორგა!...

სმა არავინ მისცა.

— ლეო!... — გასძახა სალომემ უფრო სმა-ძაღლა, თითქოს გაჯავრების კილოთი.

— ჰა!... მოისმა ვენახიდან გაბბული კივილი.

— ერთი უუურე იმათ, ერთი უუურე! ი ალუბლებს ესლავ შესწევვიან და, სანამ დამწიფდება, მუსრს გაავლებენ. როგორ გადავარწინო, რო არ ვიცი! — წაიბუტბუტა სალომემ.

— რა იქენ, ბიჭო, აქამდის, რა იქენ... — მისცა სმა სალომემ ლეოს კივილს.

— რა, დედა? — შეესმაურა ცოტა არ იუვეს დარცხვენით ლეო დედას, გამოსტა თუ არა ვენახიდან კარებსში.

განუგრელი და მასთან შესდელი მეგობარი გიორგა კი უკან მოსდევდა და ჩაჭურებდა კოსტად ამოსნმულ ქალამებს.

— რაი და თქვენ და თქვენ თავს, — დაუტატანა დედამ ცოტა არ იუკეს დატუქვის კილოთი, — ბატები აქამდინ შინ უნდა ეუარნენ — ჭა?

— ჭჭ! ბატები! — თითქოს ახლა მოაგონდათო, წამოიძახეს და გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადახედეს: — ისე როგორ გავერთეთ, რომ ბატები დაგვავიწუდაო. შემდეგ სალომეს ახედეს ქვეშ-ქვეშ, — მართლა ძალიან სომ არ გვიჯავრდებაო, და როდესაც ზირზე ღიბი შეამჩნიეს, კათამამდნენ და მისკენ მხიარულად გაკუნტრუდნენ.

— ახლავე, დედა, ახლავე! ისეთი ბატები გაგიზარდოთ, რომ...

და სტუნვით გაექანენ სასლისკენ, ფიცხლავ აირბინეს კიბე, ჩაუირავდნენ კიდობანში. ოთხი ვეებერთელა ჰური ამოართიეს, მკვირცხლად გამოიკრეს ჩაბალახებში; ლეომ ძამისეული ვეებერთელა ქუდი წამოიგდო, და — ჭერი ბიჭო! რახრახით ჩაირბინეს კიბე, გაუღეს კარები ბატებს, რომელნიც ეიუინით გამოშწკრივდნენ ეზოში და ნახვევ გზისკენ გასწიეს. მეგობრები კი უკან მისდევდნენ და თავზე უწკაპუნებდნენ გრძელ შინდის წკაპლებს.

— აბა თქვენ იცით, როგორც დაბდობთ! — გასძახა სალომემ ჩვეულებრივ.

— კარგი, დედიკო, კარგი... აბა, უარუარა, წინ გასწი! — შესძახა ბატს ლეომ და წკაპლა მოუცაცუნა. ბატებმა ეიუინს უმატეს და ქანაობით გამწკრივდნენ ეზოში. მილასლახებდნენ და მიეიუინებდნენ. ზატრონები უკან ბაასით მისდევდნენ. თუ ღობის ძირში შეამჩნევდნენ რომელსამე შეთვალეულ ხილს, მაშინვე წკაპლების ბარტუნს აუტეხავდნენ და დაგლუჯილ ფოთლებს ჭაერში აფრიალებდნენ.

—საით წავასხათ, გიორგა?—შევეითსა ღეო მეგობარს, რომელმაც უფრო კაი საძოვარი ადგილები იცოდა.

—მუსიანებისკენ მგონი მიხედიანთ ქერი გაითიბა...

—ბიჭოს, ნაქერალში კარგია, იქით წავასხათ!—გაესარდა ღეოს და მსიარულად მიუძღერსა თავისი უარუარა ბატებს. მეტის-მეტად უუვარდა ორსავე მეგობარს თავისი გასდილი ბატები, და არავის ნებას არ მისცემდნენ, რომ უშიშვროდ გაეჯავრებინათ... ის რომ უნდა დაეკლათ როდისმე, გასაგონადაც არ უნდოდათ: განა დასაკლავად ზრდიდნენ თავიანთ უარუარებს!..

ორღობებს კარგა დაძორებოდნენ და უკვე მინდორში იუვნენ. მინდურის ვიწრო გზის ნაპირზე შეთეთრებული ეანები ღელავდნენ, შრიალეობდნენ და, თითქოს ბატებს თავისკენ იწვევენო, თავებს ისე უკრავდნენ. ბატებიც ეივნით ხან იქით გაეშვებოდნენ და ხან აქეთ, უხანაში მიიწვევდნენ, მაგრამ გიორგას და ღეოს მარჯვედ მოქნეული წკეპლები უცხად შეაჩერებდნენ მათ იერიშებს და ახლა მეორე მხარესკენ მოეშვებოდნენ.

—ერთი ამ სამაგლებს უუურე—რა ამბავში არიან და!—წამოიძახა მოუთმენლად ღეომ და ერთ მოუსვენარ ბატსკაი დონიერი წკეპლა უთავაზა შიგ ფრთაში. ბატმა დაინივსივა და ფრთა მირს ჩამოუშვა; ქანაობით შეერია შუაგულ ჯგუფში, რადგან იქ უფრო უსიფათო ადგილი იყო, და ასე ადვილად აღარ იკემებდა ბატონ-პატრონის წკეპლებს.

—ბიჭო, ე ფრთა კინაღამ მოსტყეს.

—მოსტყენოდა, რა!—უნასუსა ღეომ თითქოს გაჯავრებულითაც, მაგრამ ეტეობოდა-კი—არ უნდოდა, რომ ფრთა მართლად მოსტყენოდა იმის საუვარელ ბატს, რადგან თვალი გადაავლო—მართლად სომ არ მოსტყენოდა.

—აი, ე საქცევზე კადუხვიოთ, და აკერ მუსიანიცა! თუ მოფოცსილია, თავთავი კიდევ ევრება, და ჩვენ ბატებს კარგა დაუბძობოთ,—სთქვა გიორგამ და ბატებს წამოუარა.

ხელად გადაგუგუნეს მუსიანისკენ ბატები, მაგრამ დახეთ მათ ბედსა და უისმათსა,—ქერი ცაცელილი დაჭხვდათ, მაგრამ მოსაფოცსი კი. ბარემ ეწეინათ ჩვენ მეგობარ მწვემსებს, რაღას განუობდნენ: ნაქერალ კვერდით, მუსის ჭალის ზირს უნდა დაეუოლებინათ და ისე მოსდგომოდნენ, სანამ არ დაძლებოდნენ და ჩრდილში არ დაეურებოდნენ კუჭ-მოჩრისულები.

მუსის ძირებში ამოსული ნოეიერი მინდვრის ბალახი ცოტა არ იუოს ესიამოვნათ მშიერ ვიუინებს და მხიარულ სივისივით მიესივნენ. ერთხმად დაუღალავად ატეაზუნებდნენ თავიანთ ზრტველ ნისკარტებს და ჯერედ ნამ-მეუშრობელ ბალახს იხვევდნენ. ლეო და გიორგა კი ნაქერალისკენ მოუდგნენ და მოიძარჯვეს წკეპლები.

ვაი იმ ბატს, რომელიც მოისურვებდა ეელის ჩაკემრიელებას ქერის თავთავით. ისეთი წკეპლა მოჭხვდებოდა ფრთაში, რომ სუნთქვა შეეკვრებოდა. სულაც რომ არ ენახა ქერის თავთავი, ერჩინა, არამც თუ იმით ზირი ჩაკემრიელებინა. მოუსვენრებმა უკვე ისწავლეს ჭკუა და კვერდ-კვერდ გამოჭურებდნენ,—კიდევ სომ არ მოდის ზუსუნით წკეპლაო. სულ დაავიწუდათ ქერის თავთავი, ისე გაერთნენ ბალახის მოვაში: მათი ვიუინდა ისმოდა.

ამასობაში კარგა ქვევით დაჭუნენ. იქ ჭალა თითქო შეჭმულიაო, ისე იუო შიგნით შეწეული და ვეებერთელა რკვალ ველსა სტოყებდა ნაქერალსა და სეებ შორის. მხიარულ ვიუინით შეეფინენ. ლეო და გიორგამ კი ჩრდილებისკენ დაიწიეს.

—ბიჭოს, თხილი როგორ აკუნწლულია და!—წამოიძახა გი-

ორგამ და მუსეებ შუა გაექანა. ღეო სტუნვით დაედევნა, მათხანთხან
შუბლზე ჩამოფხატულ ქუდს იწვევდა მალდა.

— შენი გულისა, მართლა როგორ აკუნწლულია და!

ჩხრიალა წულის ჰირს თხილის ბუნქი იდგა და მართლა
სულ დაკუნწლული იყო. სინარულისაგან აღარ იცოდნენ—რა
ექნათ. ორთავ სელებით დაიწვეს კრეუბა. სინარულისაგან დაბ-
ვიწვდათ კიდევ გაესინჯათ—გული კარგი ჰქონდა თუ არა.
ღეომ თავისი ვეებერთელა ქუდი მოიშვლინა და ნელ-ნელა
აფსებდა. გაუცაცვებით იწვედნენ ასხალ-ასხალ ტოტებს და ჰაღვნი-
დნენ ორთავ სელებით.

ისე გაერთვნენ კრეუბაში, რომ არამც თუ თხილის ჭამა,
ბატებიც კი დაბვიწვდათ.

ბატებმა კი, რაკი შენიძნეს, რომ მათი ჰატრონები ასლო
არ იუენენ, იდროვეს და ეიუინით შეესიენენ გათიბულ ქერს.
ხმელ თავთავს კემრიელად ისვევდნენ და ტკბილად ეეიუინე-
ბოდნენ ერთმანეთს:—შესე, რა კარგი ჰატრონები გვეუხანან,—
ქერს გაგჰმევენო: აქ რა კაი ადგილს მოგვლალესო...

—ვისი ბატები, ვისია, რომ იკლებენ ამ ქერსა—ეჰე?!..
შეესმათ თხილის კრეუბაში გართულ ამხანაგებს გაჯავრებული
ხმა. ასლა კი დაფაცურდნენ. მოაგონათ ბატები და ერთმა-
ნეთს შემინებულებმა შესედეს.—ვაიმე!—წამოიძახა ორივემ ვრ-
თად.—მიხეილია, მგონი, ბებერი მიხეილი.

აქეთ-იქით იცქირებოდნენ. ჰირველად გაქცევა დაბნირეს,
მაგრამ შედგნენ და აღარ იცოდნენ—რა ექნათ: გასულიუენენ
მინდვრად,—მიხეილი იცნობდა, ღედას ეტეოდა; არა და,—ბა-
ტებს დილალაჟდა და წაასხავდა. კარგად იცნობდნენ ბებერ
მიხეილს. თავის მამულში ვის ზაქონელსაც კი მოასწრობდა,
ეველას დაამწვევდევდა. კარგად იცოდნენ ეს, და ამიტომაც იყო,
რომ ასე შეეშინდათ.

ბოლოს როგორც იყო სძლიეს ეოჰმანს და გამოვარდნენ ჭალიდან. ქუდიცა და თხილიც იქ დარჩათ. იმისთვის აღარ სცხელოდათ.

— ჩვენია, ნათლი მისეილ, ჩვენი! დმერთმანი ახლა შევიდნენ, ე მანდა გევაჯდა და...— იმხდა ნაწვეეტ-ნაწვეეტად ლეო და ბატებისკენ კარბოდა. უბე-გაბერული გიორგა კი კვერს უკრავდა.

— აი, თქვე სამაგლებო თქვენა: ქერი უზატრონო გკონათ?.. მოუარე—დავამწუვდიო. შე გაჩვენებ შენა, შე მოუსვე-ნარო, შენა...— თითქოს გაიხუმრა მისეილმა, ლეო რა იცნო, და ბატებს წამოუარა.

— არა, ნათლიი... დმერთმანიი...

ახლა ხუმრობა საქმე არ იყო: ბატები მიუდიოდა და ლეომ ტირილი მართო. გიორგა კი გაკვირვებული უეურებდა მისეილს, სომ არა ხუმრობსო. ლეოს ტირილზე მისეილი შეუდგა, დონჯი შემოიუარა და შესედა; სახესე დიძმა გადაჭკრა.

— ჭა, კიდევ შემოლაღავთ—ჭა?

— არა, დმერთმანი, ნათლი, არააა...

— მამ კარგი, ახლა წაასნით და...

ამის გავონებასე ლეომ უცბად ტირილი გულში ჩაიკლა და ისევ თვალ-ცრემლიანმა სისარულისკან გაუღიმა უფრო გახარებულ გიორგას. ბატებს წამოურბინეს.

— დაიცა, დაიცა: ჯერ ერთი ჰირობა კიდევ მოქეცი.

ლეო შედგა და ცრემლიანი თვალები მიამტერა მოსუცე-ბულ, თეთრ-წვერა მისეილს.

— სამობოდ ერთი კარგი ბატი უნდა კადმოგკვარო,— კესმის! დედასაც უთხარი.

— კარგი, ნათლი, დმერთმანი კადმოგიუვან.

ახლა ლეო უველაფერსე დასთანსმდებოდა, ოღონდ ამ წუთში ბატები დაენებებინა მისეილს.

—მაშ კარგი და—კვლავ აღარ დაგინახოთ, თორემ ვინ თქვენი ტყავი!..—დაემუქრა ბებერი მიხეილი ორთავეს და ღიმილით ზურგი აქცია.

—აბა, გიორგა, ჩქარა მოუარე!..—შეესმაურა უკვე დამშვიდებული და გამხიარულებული ლეო და ტყავა-ტყუპით ველზე გადაარქვას. ახლა და ამოისუნთქმეს თავისუფლად, როცა ბატები ველზე დაინახეს და ველის ბოლოში მიხეილი, რომელიც დრო-გამოშვებით, გვერდ-გვერდ მათკენ გამოიხედავდა და სოლმე.

—ბიჭოს, ეს მესამე ნედლია, შიგ არაფერია!—წამოიძახა გიორგამ, როცა თხილი გატყეს და მართლაც შიგ ჩანასახიც კი არ იყო გულისა.

—აბა მართლა!—წამოიძახა არა ნაკლებ შეწუხებულმა ლეომ და ქუდისაგენ გაიქცა. მიდიოდა, ამტვრევდა, მაგრამ უვლად ერთნაირი იყო. ადრე მოეკრიფათ: ჯერ მკათათვის ჰირველი იყო, და მა რა იქნებოდა!

გაკვირვებულები ხან ერთმანეთს შესედავდნენ, და ხან თხილს დახედავდნენ: გიორგა—უბეს, ლეო—მამისეულ ქუდს. უცბად ლეოს სახე შეეცვალა, თხილი მიწაზე მოაჩირქვა, ფეხი გაუსვა და გაჭყანტა.

—სულ ამის ბრალია—აი.

—რაი, რა იყო?

—რა და—ნეტამც შობა არ მოვიდეს, და სხვა არა-მინდა რა.

—რათა, ბიჭო, მერე შობაზე კარგი რა არის...

—ვერ გავიგონე, მიხეილმა—ბატი უნდა გადმომიეხანოო. ეტყვის დედას, და მორჩა..


—მართლა, ე, ახლა მომაგონდა,—წარმოსთქვა შეწუხებულმა გიორგამ, მოიხსნა ქამარი და თხილი გაჭყანტა.

სუძრობა სომ არ იყო: ერთი ბატის სიკვდილი უკვე გადაწვეტილი იყო, მერე აძღენ ტანჯვით გამოზდილ ბატისა.

— მართლა, ნეტა არ მოვიდეს შობაი და... დაუძატა გიორგამ და ლეოს შესედა, რომელიც, თვალცრემლიანი, სთვლიდა თავის ელ-უარუარა საუვარელ ბატებს.

ახლა არ ვიცი, უხარიათ თუ არა შობა ან ლეოს და ან გიორგას. უნდა გავიგო, როგორ შესვდნენ შობას და თქვენ გიამბობთ, ვინც მსიარულად ეკებებით ბრწუინვალე შობას.

ნ. კონოველი.





ზამთარი ტიროდა



ამთარი ტიროდა...
ზამთარი ჭკუნესოდა...
იმისი ჩივილი,
ზეცასაც ესმოდა...

ვიუაუი ძლიერი,
შიშს ვკვრიდი უველასა;
ვისაც კი ვწვდებოდი,—
ითხოვდა შევლასა.

კავეინე ივანე,
დაუმარი ტასია;
აუბდაც კავსადე,
ათასჯერ ასია.

ასლაკი დავსუსტდი,
შევიქენ აუბდა;
უველანი ამხედრდნენ
ჩემს მოსაკლავადა.

მზემ მტეორცნა ისარი,—
სისხლი მდის გულზედა;
ფრინველთა ქივილი
წელულსა მდებს წელულზედა.

საბანი თოვლისა
 მომტაცა წუარომა;
 ფარ-სძალი ეინულის,—
 ზაფხულის ტაროსმა.

დავსუსტდი... სამარემ
 დამიწეო მსერაო;
 იქ უნდა ჩავიდე,—
 მომესპოს ღლხენაო.

ვაი მე, უბედურს...
 ვაი მე, დედიო!...
 ოდესღაც ძლიერი—
 უდროოდ ვკვდებო!!...

დ. კლიშხიძე





მეგრული არაკი

კურდღლის ბაჭა



აჩნდა ქვეყანაზე ზაწია კურდღლის ბაჭია და ერთბაშად გარეშამო მრავალი საგანი დანახა: ბევრი ქვა, ბევრი ბაღასი, ბევრი წელი, ბევრი სე...

ძალიან მოეწონა, რომ დედაძინაზე ვეუღაფერი ბლომად იყო.

დედა-კურდღელმა ცოტა-სახს ადროვა თავის ბარტეს— ქვეუნი ცქერით დამტკბარიყო, შემდეგ კი ჰკითხა:— რამდენ სახს გინდა გაწოვო ბუბუ, სულიყო: ერთი წელიწადი, თუ სამი დღე-დაღამეო?

რადგან ბაჭია გარეშამო ვეუღაფერს ბლომად ჰხედავდა და ბევრი რამ ენატრებოდა, არც კი დაფიქრებულა, იმ წამსვე გადასწვიტა თავის გულში, რომ „სამი“ დღე-დაღამე „ერთ“ წელზე მეტია და მსწრაფლ უპასუხა თავის მშობელს:— არ მინდა „ერთი“ წელიწადი, „სამი“ დღე-დაღამე მწოვე ბუბუ, დედიკოო.

ამნაირად თვითონ გაიფუჭა საქმე კურდღლის ბაჭიამ: მას ბქეთ დედა-კურდღელი მხოლოდ სამ დღე-დაღამეს აწოვებს ბუბუს თავის ბაჭიას, შემდეგ კი მშრალზე სტოვებს.





ს ა მ ხ ე ც ე უ ბ

თუთიყუშის ნაამბობი



გიძინებული თუთიყუში ქანდარიდან ჩამოვარდა. უნდოდა ისევ ამოედო თავი ფრთის ქვეშ და მიღს მისცემოდა, მაგრამ უური მოჭკრა აფრიკის შესახებ ჟირაფის საუბარს და სმენად გადაიქცა. როცა ჟირაფმა გაათავა, თუთიყუშმა ფრთა-ფრთას

შემოჭკრა და ეველას გასაგონად დაიძახა:

— სმენა იოს და გაგონება! ახლა ჩემი რიცია!

სამსეცეში სწილო უფროსად ითვლებოდა, — იმის აზრს ეველა ემორწილებოდა; ამიტომ წინააღმდეგობა აღარ გაუწიეს, როცა თუთიყუშს ხმა-მაღლა უწასუსა:

— კეთილი! მოჭკე! უურს დაგიგდებთ, თუძცა შენ ფრინველი ხარ. კენკურუ შენს შერძე მოგვიევება.

თუთიყუშმა ფეხები მოიძაგრა და დაიწყო:

— მზე მსიარულად ანათებდა; ხალხები საამურად შრიალებდნენ; ევაოდნენ მაკლონია და ფორთოხლის ხეები; ოკვანე წენარად დელავდა და აქაფებდა ნაწირებს. ჩვენ ვისხედით ხის ტოტებსე და მზეზე ვთბებოდით. ზოგი ჩვენგანი ცოცხვდა ტოტიდან ტოტზე და ემებდა უფრო მოხერხებულ ადგილს; ზოგიც საცოდავად ვარდებოდა მიწასე და ადგომას ვერ ახერ-

ხებდა. ჩვენ, თუთიუშებს, მიწაზე სიარული არ გვეყრნება: მცოცავი ფრინველები ვართ, და ჩვენი სურვილით არც ჩამოვდივართ მიწაზე.

ჩვენს ახლო მხიარულად თამაშობდნენ მაიმუნები. ჰატარაობიდანვე შეჩვეული ვართ მაიმუნებს, ეს იმიტომ, რომ არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც თუთიუშთან მაიმუნებიც არ ბინადრობდნენ. ჰო, ვზივართ და მზეზე ვთბებით. უცხად უფროსმ: ჩვენცანმა დაიძახა:

— არ გაუფრინდეთ ზღანტაციაში და არ ჩავიტკებარუნით ჰირი მწიფე ანანასით?

ჩვენ გაგვეხარდა და ერთად შევძახეთ:

— საუცხოვოა: უთუოდ გაუფრინდეთ. ეს კარგი საჭეი! ვიჩქაროთ, სანამ მაიმუნები მიგვასწრობდნენ!

ამას ჩვენი უფროსის სტვენა მოჭევა და ავიშალენით.

ძნელია იმ მძვენიერი სანახაობის აწერა, რასაც ჩვენი ძვინავი ჯოგი წარმოადგენდა. მწვანე და ღია წითელი ფერი ჩვენი ფრთებისა მზის სხივებზე ოქროსა და ზურმუხტის მსგავსად აფერადდა. მაიმუნებიც კი, რომლებიც ეოველდღე გვხედავენ, გატაცებით შემოგვეცქეროდნენ. ჩვენ ერთმანეთში მეგობრულად ვართ, არ ვჩხუბობთ, ვცხოვრობთ გუნდად და ეველაფერს ერთად ვაკეთებთ.

მიუფრინდით ზღანტაციაში და ჰეარში გავერდით,—წინაშე ღოლის ბრძანებას ველით.

— აი, აქ დაეშვით!—მოგვამახა მან,—არ დასტოვოთ არაფერი! ღმერთმა შეგარგოთ!

წინაშეღოლის ჩვენებით ჩვენ ჯოგს მოძორდა საძი თუთიუში და სწვადა-სწვა კუთხეში დარაჯად დადგა; დანარჩენები მივესიეთ ხილს. ცალი ფეხით ჩავვებდაუჭეთ ხეს და მეორეთი ვკლევთ ხილს და მიგვაქვს ჰირში. ნაყოფით არ ვემა-

უოფილდებით: ვტყნთ კურკას და გულს ვჭამთ,—ისიც გემ-
 რიელია! ისე გაგვიტაცა ამ ქურდობამ, რომ ვერ შევნიშნეთ
 ბაღის დარბაჯი, რომელიც ქოსიდან გამოვიდა თურმე. მაგრამ
 გვიშველა წინამძღოლმა: იმან შენიშნა და დაუსტვინა. გამო-
 ესმაურა ჩვენი სამი მეთვალყურე:—ეს გაფრთხილება იყო.
 გამოვესმაურეთ ჩვენც:—ვანიშნეთ, რომ მივსვდით. ერთხელ
 კიდევ დავევივლეთ და ავფრინდით. სამწუხაროდ ბაღის დარბაჯს
 თოფი ჰქონდა:—გვესროლა, თუძცა ვერცერთს ვერ მოგვარ-
 ტუბა.

—ღამაცადეთ მე თქვენ!—შეგვძახა:— არ შეგარჩენო ამ ეა-
 ჩალობას, გადაგიხდით სამაგიეროს.—მოიქექა თავი, დახედა ჩვენ
 მიერ გაძარცვულ ბაღს და სასოწარქვეითი წამოიძახა:—ღმერ-
 თო ჩემო! რაღა მეშველება ახლა?

ამასე ჩვენ გაგვეცინა და დაუწვეთ მასსრობა:

—კარგია,—გვეოფა!—გადასძახა ერთმა ჩვენგანმა.

—გადაგიხდი სამაგიეროს!—განუძეორა მისმა ამხანაგმა.

დიდხანს ილანძვებოდა დარბაჯი, დაგვეტუქრა სასტიკად,
 მაგრამ თავი და თავი საქმე გაეაგეთ:—მაძღრები ვიუბით
 და ახლა წულის დასალევეად გავსწიეთ. ჩვენ საზოგადოდ
 გვიუვარს სმა, განსაკუთრებით თუ წუელი მომლამობა. ბედ-
 სე ჩვენ ტყეში მიწანწკალებდა ძლამე რუ, რომლის ნაწი-
 რებსე ზაწაწკინა ჩიტები—კოლიბრი—ბუღობდნენ. აი, ჩვენც
 იმ რუს მივაძურეთ. გული ვიჯერეთ და გადავეშვით საბანაოდ.
 ამოვედით და მშრალ სილაში ვიწვეთ გორუბა. მშრალი სილა
 სეწრის მაგიერობას გვიწევს; ისურტავს წუალს. ეს ჩვენ ვი-
 ცით, და ამიტომაც ასე ვიქცევით. შეძღვე გავსწიეთ მინის-
 კენ.

—ამ წუთში წვიმა წამოვა!—დაგვძახა წინამძღოლმა:—გა-
 ხედეთ—ცა როგორ მოიღუძა!

— დმერთმა ქნას! რა კარგია! — შვექმანეთ სანასუსოდ — მან
ლიან გვიუვარს თბილი წვიმა!

მართლაც ცა მოიდუმა. დაიგრუსუნა. ტეემ სული განაბა.
მაიმუნები მიიძაღნენ. ჩიტები ბუდეებში შეძვრნენ. მხოლოდ
ჩვენ მხიარული უეჩინით მოვექცეთ სის წვეროკინას და
აღტაცებით მოველოდით თბილ წვიმას.

— ოჲ, ერთი ღაზათიანად დავსველდებოდეთ თბილ წვი-
მაში! — ვიძახოდით მხიარულად.

გაიკლანება ელვა. დაიგრუსუნა და წამოვიდა კოკისპირუ-
ლი წვიმა. გავშალეთ ფრთები და მივეცით თავი ნეტარებას.

— ტუტუცებო! — შემოგვძახა ფოთლებ ქვეშიდან მაიმუნმა: —
ასე სომ ერთი ბუძბულიც არ გადაგირჩებათ მშრალი!

— ჩვენც ეს გვინდა! — მხიარულად გადავსძახეთ: — ჩვენ ეს
მოგვწონს.

გადილო. მხემ ბრწეინვალედ გამოანათა. ჩვენც გავძრით.

— კარგია, გეუოფა! — ბუტბუტებს ერთი.

— გადაგინდი სამაგიეროს! — ამბობს მეორე.

საკვირველია! სამინლად გვიუვარს ბანაობა და წვიმაში
დასველება. მაგრამ ისე ვერ გავძლებთ, თუ ღამე სადმე თავი
არ შევაფარეთ. მოსაღამურდა კიდევ. შევუდექით მოხერხებუ-
ლი თავშესაფარის ძებნას. სოკი სის ფულუროში შემერა, სო-
კი ფოთლებში გავხვია, სოკიც ტოტებს მივერა. მე ფულუ-
როში შევძვერი, მაგრამ ვერ შევეტე და ბოლო გარედ დამჩნა.
ჩემს შესობლად უფრო მოზრდილი ფულურო იყო: — იმაში
ცოლ-ქმარ თუთიუშს მოვეკლათა. იმათ იქ ბუდე ქქინდათ და
შვილებს ჩეკდნენ; ამიტომ აღარ დავეცილეთ. ჩვენ სასოგა-
დოდ ძალიან გვიუვარს მეუდრო ოჯახური ცსოვრება და ჩემ-
თვის საამო საუურებელი იყო ამ ცოლ-ქმრის ბუდეზე მორი-
გობით ჯდომა და აღერსი.



— აბა, წადი, იფრინე, გაისეირნე! — ეუბნებოდა ერთი მეორეს: — დაილაღე ამდენი ჯდომით; მე დავაჯდები შენს მაკიერ.

იმ ღამეს ასე ოცნებობდნენ მოძავალ ბედნიერებაზე:

— სვალ ოცდაორი დღეა, რაც დავაჯექით კვერცხებს, — აღტაცებით ეუბნებოდა მამალი დედას: — ძალე გვეყოლება შვილები. როგორი სასაცილონი იქნებიან: ტიტვლები, თავკობალასავით თავდიდან, ბრძები!.. შეათე დღესე ავნილებათ თვალები და ბუმბულით შეიმოსებიან... შეშინიან — არ გაგვიცვივდნენ და ბუღიდან არ გადაგვიცვივდნენ.

— ნუ დარდობ! — მიუგო დედალმა: — ფრთებს მოვსვევ, არ გავაცეებ, ნისკარტით დევიჭვებ; თუ რომელიმე მალთან შესცივა, შევრდხე მივისუტებ, აი ისე, როგორც ალაშიანები შერებიან, და კავათობ.

ასე საუბრობდნენ ისინი. დიდხანს ვუგდე უური. ბოლოს ძილმა დამიმორჩილა და ჩამეძინა.

შუაღამისას რაღაც საშინელმა სმაურობამ გამაღვიძა. ევიროდნენ და ფრთებს ატელაშუნებდნენ თუთიუშები. ალაშიანის სმაც ისმოდა. ვიღაცა მოვიდა ჩემთან და ფარანი მომანათა. სინათლემ თვალი მომჭრა, მაგრამ მანც ვიცანი: — ეს იმ ბაღის დარაჯი იყო, დღეს რომ გაუმარცხეთ. მას მეორეც ახლდა.

— კუდში ხელი, კუდში! — შესძახა ამხანაგს და ჩემკენ მიუთითა. — ტომარაში უკარ თავი! ასე ეკადრება ამას.

გამორკვევაც ვერ მოვასწარი, რომ ტომარაში ამომავოფინეს თავი, სადაც ჩემსავით უბედური სხვაც ფართხალობდა.

— გადაგისდი სამაგიეროს! — დავევირე მე რაც ძალა შემწვედა: — გადაგისდი, სამაგიეროს!

მაგრამ ჩემი წირვა გამოვიდა. სამუდამოდ დაგვარგე თავისუფლება.

კაცმა მიგვიყვანა შინ და თავმოკრული ტომარა იატაკზე დასდო. ძალზე ვიწროდ ვიუაჯით: სუნთქვა გვიჭირდა. ერთი მეორეზე ვეუარენით, ვიჭყელიტებოდით.

— ვინოცებით წყურვილით, ვიდრჩვევით უჭაეროდ!— იძახოდნენ სოკიერთები! ერთმა თუთიუშმა საცოდავი ხმით ამოიკვნესა:

— დმერთო ჩემო, რაღა გვეშველება ასლა!

გათავდა ტანჯვის დამე. ტომარაში შუქმა შემოანათა. გათენებულიყო. მოისმა ადამიანების ფეხის ხმა და ლაპარაკი.

აკვილეს და სადღაც წაკვილეს. ძალე ტალღების ხმა მოგვესმა.

— ეს სომ ზღვის ხმაა?— შეკითხება შესობელი:— ნუ თუ უნდა დაგვადრწონ?

კასსნეს ტომარა და ერთ დიდ კალიაში ჩაკვებრტვეს. კავისუფლ-გამოვიხედე და... გემზე არა ვართ?! ბევრი დამღრჩვალიყო ტომარაში და საშინელი გულციობით გადახსროლეს ზღვაში. ჩვენმა მომტანმა აიღო ჩვენში გემის უფროსისაგან ფულები და წავიდა თავისთვის. გემის უფროსი მოგვიანლოვდა და დაგვავთვალერა.

— კარგი საქონელია!..— კმაყოფილებით ჩაილაპარაკა მან:— ამაში დიდ ფულს ავიღებ ვეროპიელებისგან.

— გადაგისდით სამაგიეროს!— უცბად შესძახა ერთმა ჩვენგანმა. გემის უფროსმა და მატროსებმა გადაიხარხარეს.

კალიაში მარტო ჩვენ როდი ვიუაჯით. ჩვენზე ადრე ჩაუვართ შიკ ზაწია მამუშები, რომლებიც შემინებული თვალებით მოკვშტერებოდნენ. როგორც ჩვენ, იმ საცოდავებსაც სწუროდათ— გამოეყოთ ენები და ტუჩებს ილოკავდნენ. კალიაში გასაქანი არსად იყო. როგორც იქნა მატროსმა შემოკვიდვა კობით წვალი და ჩვენც მივცვივდით. ისეთი აუღამებელი

ადგა, ისეთი ჭედაბ იყო, რომ რამდენიმე ჩვენგანი გაიჭვლიტა და სული დალია; მე დიდის წვალებით დაულიე წვალი და კუთხეში მივდექი. დაიძრა გეში და დაიწყო ქანაობა. თავბრუ დამქვია, დავხუჭე თვალები, დავიწვე ფიქრი. სად მივუვარ? ვნახავ ისევ ჩემ სამშობლოს, თუ სამუდამოდ ვმორდები?

— დღეს უნდა გამოიჩეკოს ჰირველი ბარტეი! — წამოიძახა ჩემს ასლო მჯდომმა თუთიუშმა: — უთუოდ ტიტველა და სხსაცილო რამ იქნება.

კავახილე თვალები და დავინახე სწორედ ის მამალი, რომელიც თავის დედას წუსელის ისე გატაცებით ესაუბრებოდა. საცოდავი! ისიც ჩვენთანაა, — დავუჭერათ!

— საბრალეო ჩემი ცოლი! — ისევ ამოიკენესა მან: — როგორ გაუძეოდება უნემოდ ცხოვრება.

მე ის ძალიან შეემბრადა; მინდოდა ორიოდე ტკბილი სანუკემო სიტყვა მეთქვა, მაგრამ თავი ისე მიბრუოდა, რომ ველარაფერი მოვასერსე.

მთელი თვე-ნახევარი ვიუავით გხაში. ბოლოს მივაღწიეთ ევროპას. დმერთო ჩემო! ამ მკსაერობაში რამდენი თუთიუში და მაიმუნი დაიღუპა! გადავრჩით რაღაც ოცამდი; ვიუავით კი რამოდენიმე ასეული.

როდესაც ნაპირზე გამოგვიყვანეს, ციოდა. დედამიწა თერთრი ბუმბულით იყო დაფარული. ადამიანები ამბობდნენ — ეს თოვლიაო. მე ვკანკალებდი. როგორ მინდოდა სითბო და მეუდროება!

— სად მიგვიყვანეს? — მკითხა მობუზულმა მაიმუნმა.

— არ ვიცი... — მიუგე მე.

დაღამდა და ჩამეძინა; მაგრამ ძილში გავიგე, რომ სადღაც წამიდეს.

გამომეღვიძა ბნელ მალაზიაში, სადაც ბლომად კვიდა გამხდარ ფრინველებისანი კალიები. ეს იყო ფრინველების მალა-

ზია. საშინლად გაშიჭირდა იქ ეოფნა; ვიუაჳი მოკუნტულ-
ვიწრო გაღიაში და გული ძელეოდა.

ასე ორი კვირის შემდეგ ძალაშიაში მოვიდა ერთი დედა-
ბერი და დიდხანს გვათვალიერებ ძე და ჩემი შესობელი; ბო-
ლოს გვიუიდა და წაგვიღო თან; დაგვაბა ფეხებით ერთ ოთახ-
ში.

— ღმერთო ჩემო; რაღა გვეშველება ახლა? — ბუტბუტებდა
ჩემი ამხანაგი.

დაგვაწვებინეს ლაპარაკი. დიასახლისმა დაგვიდგა წინ სარკე;
თითონ მიიძალა და წამოიძახა: — უტვინო!

ჩვენ გვეგონა სარკეში სხვა თუთიუშებია და გველანაპრა-
კებთან.

— უტვინო! — გავიმეორეთ არხეინად.

დიასახლისი სინარულისაგან ფეხზე აღარ იდგა.

გავიდა საში კვირა. წინანდებურად აცვიდა. ცა მოიდუშა
და ზევიდან თეთრი ბუმბული წამოვიდა. მენატრებოდა სამ-
შობლო, სითბო, ძალაღი ხეები, ლაყვარღი ცა. ჩემი ამხანაგი
აბუხა და შესწუვიტა ჭამა.

— ავადა ვარ... — მითხრა: — სამშობლოში წასვლა მინდაო.

ღრმად ამოვიხვნეშე და არა ვუპასუხე-რა.

საწეაღი თანდათან ცუდად გახდა. რომ გამოძჯობინებუ-
ღიეო, დიასახლისმა უმი სორცის ძლევა დაუწეო. უმი სორ-
ცი ჩვენ არასოდეს არ გვიჭამია და გვეხიხლებოდა, თუძცა
ცოტა კი შევეჩვიეთ. უძმა სორცმა აგვიტეხა საშინელი ქავი-
ღი მთელ ტანზე, ასე რომ მიღა, აღარ შეგვეძლო; ჩემმა
ამხანაგმა დაიწეო ტანიდან ბუმბუღის გლეჯა.

— მეტი აღარ შემიძღია, — მითხრა საბრალოდ: — მოძეღავს
ეს ფხანა!

— უტვინო ხარ! — ვუპასუხე, მხოლოდ იმიტომ, რომ ხმა
გამეცა.

მეორე დილას განცვიფრებით შევხედე: ჩემი მეგობართან სულ ტიტველი იყო: ბუმბული სრულიად ამოეწიწკნა. საცაო დაგი სანახავი იყო; იჯდა თავის ქანდარსზე დაღვრემილი. მოვიდა დიანახლისი, შესედა და თავი გააქნია; გააღო კარი და შხარეულს გასძახა:

—დარია! წაიღე ეს სამაგელი და მეგზოვეს გადაეცი, მორს სადმე გადაგდოს!

მოვიდა გოგო ჩემს ამხანაგთან, სტაცა ხელი ფეხში და თავდაღმა გაათრია ოთახიდან.

—გადაგისდი სამაგეიროს, გადაგისდი სამაგეიროს,—იბახოდა საბრალო.

დავრჩი მარტო და დარდისაგან წავიბუტბუტე:

—ღმერთო ჩემო, რა იქნება ამის შემდეგ?—ამოვიღვევი თავი ფრთის ქვეშ და ვცდილობდი ვეველაფერი დავიწეებისთვის მიმეცა, არაფერზე არ მეფიქრა.

—საჭიროა ამას გზა ავუჩინოთ!—შემომესმა დიანახლისის ხმა. სიბინძურის მეტი არაფერია ამისაგან. მოდი, დარია, წაიღე და გაუიღე სამხეცეში, თორემ ესეც ფშაკს ფეხს და წარაღია. სამაგეიროდ მე შენ ფულს მოგცემ.

დარია კამხვია ცხვირსანოცში და წამიყვანა... მას შემდეგ ამ სამხეცეში ვარ. რამდენათ სახარბიელოა ჩემი აქაური ცხოვრება, ამის დაფასება თქვენთვის მომინდვია.

ესლა კი მშვიდობით, მადლობას გიძღვნით ვეველას უურადღებისთვის. ვეცდები დავიძინო... შეიძლება მოვანერხო რამენაირად...

ფრთა ფრთას შემოჭკრა და ჯაჭვი გააქვარუნა.

—რამდენი წლის ხარ?—შევეითსა თუთიუქს დათვი.

—არ ვიცი...—წარმაცხად მიუგო მოსაუბრემ: ჩვენ დიდხანს ვცხოვრობთ—სამას, ოთხას წელს...—სამშობლოში, რო-

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ცა თავისუფლად ვიყავი, არ მინახავს სიკვდილი, მკვდარი
ეს მხოლოდ ტყვეობაში ვიბეჭე...

—როგორც ჩვენ, სწილოები,—მიუგო სწილომ:—ჩვენც
თითქმის ორას წლამდე ვძლებთ და თავისუფლებაში არც
აჯათ ვსდებით...

მხეცები მიუხედავად. ქარი თანდათან ძატულობდა და ნაირ-
ნაირ სმაზე უსტყენდა სამხეცეს ვუჯრუტანებში.

აღ. შითაიშვილი

გ ა ს ა რ თ ო ბ ი



აბა გაძლიერდით, როგორ შევდა
მხედარი ამ პერანსზე?



7/143



მიუღებ ხელს მონარა 1917 წლისათვის

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი "ნაკადული" წელიწადი მეცამეტე.

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფსიქოლოგია: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან.—იმთავის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიადაც.

ესთხოვთ ხელის მოწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიუღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუღმიღე მეგრელიძისთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძისთან ფოსტაში, ზ. სამსონ ყაზიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძისთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ბნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭავაძისთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძისთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი ბ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.



6984

საქართველოს
საბჭოთაო

საბაღუღი



საქართველოს საბჭოთაო
მხატვრობის განყოფილება

იანვარი № 2. 1917წ.